

### 3. მონაწილე გუნდები

- 3.1. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 2006 წელს დაბადებული ბავშვები.
- 3.2. მატჩის ხანგრძლიობაა 40 წუთი (20 – 20წთ.), 5 წუთი შესვენებით;
- 3.3. გუნდები ითამაშებენ სისტემით: 1 კარში და 8 წინ.
- 3.4. ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა;
- 3.5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპებით:
- 3.5.1. მოგებათა მეტი რაოდენობა;
- 3.5.2. უშვალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ - ბურთების უკეთესი სხვაობა);
- 3.5.3. ჯგუფში გატანილი და მოღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
- 3.5.4. ჯგუფში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;
- 3.5.5. ფეირ-ფლეის შედეგები; თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.
- 3.5.6. ჯგუფებში გუნდების არათანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, ქულების დათვლა მოხდება ყველა ჯგუფში გუნდების თანაბარი რაოდენობის გათვალისწინებით.
- 3.5.7. იმ შემთხვევაში თუ საჭირო შეიქმნა საუკეთესო მესამე ადგილოსნების გამოვლენა გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპი. პირველად უპირატესობა მიეცემა გუნდს ვისაც მეტი ქულები აქვს დაგროვილი ჯგუფებში მესამე ადგილზე გასულ გუნდებს შორის, შემდეგ მიღებული და გაშვებული ბურთების უკეთესი ბალანსი, ხოლო ბოლოს მეტი გატანილი ბურთები. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.
- 3.6. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს მინიმუმ 12 ფეხბურთელი.
- 3.7. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი.
- 3.8. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერი ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს;